

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ვახტანგ აბაშიძეს
შ.პ.ს. „მომხმარებელთა საყურადღებოდ“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 401993820,
იურიდიული მისამართი : საქართველო, ქ.თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის
რაიონი, გიორგი ტერევერკოს ქ., N 11.
წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი : დირექტორი- გიორგი ხაინდრავა,
პ.ნ. 01015001324.

პარტნიორები : გიორგი გაჩეჩილაძე, პ.ნ. 01008016732.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი გვაქვს მონაწილეობა მივიღოთ თბილისში მეტრულ ტალღათა (FM 92.3)
დიაპაზონში საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ
კონკურსში.

ლიცენზიის სახე : რადიომაუწყებლობა;

ლიცენზიის სახეობა : კერძო მაუწყებლობა;

ლიცენზიის ქვესახეობა : საერთო მაუწყებლობა;

გეოგრაფიული ზონა : ქ. თბილისი;

მაუწყებლობის ენა : ქართული;

მაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში : 24 სთ.


განცხადებას თან ერთვის კონკურსის პირობებით წარსადგენი დოკუმენტები :

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ბ) სალიცენზიო მოსაკრებლის (2000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- გ) შესაბამისობის დეკლარაცია;
- ე) ინფორმაცია საწესდებო კაპიტალისა და აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ,
(დანართი 2, დანართი 3), ცნობა განცხადებულ საწესდებო კაპიტალისა მისი განადღებული
ნაწილის შესახებ, ცნობა აქტივების და პასივების შესახებ;
- ვ) პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადა;
- ზ) განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა და ინფორმაცია დაფინანსების
წყაროების შესახებ;
- თ) დოკუმენტაცია პროგრამების გავრცელებისთვის გამოსაყენებელი ტექნიკური
საშუალებების თაობაზე;
- ი) განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;
- კ) სალიცენზიო გადასახდელის 10 % გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

განცხადებელი : შ.პ.ს. „მომხმარებელთა საყურადღებოდ“

დირექტორი გიორგი ხაინდრავა



| შესაბამისობის დეკლარაცია | | დანართი N1 |
|--------------------------|--|--|
| 1 | ლიცენზიის მამიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები | შ.კ.ს. „მომხმარებელთა საყურადღებოდ“ 401993820 |
| 2 | საბაზუწყებლო ლიცენზიის/ავტორიზაციის ნომერი (იხსენება მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის მიერ) | |
| 3 | მონაცემები ლიცენზიის მამიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისა და ორგანიზაციის შესახებ | გიორგი ხაინდრავა 01015001324 |
| 4 | ვადასტურებ ხელმოწერითა და ამ დეკლარაციის მე-5 პუნქტის მონაცემებით, რომ ლიცენზიის მამიებელი/ავტორიზაციის მსურველი პირი, ან/და ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი ან მისი ბენეფიციარი მსაკუთრები არ არიან: ა) ადმინისტრაციული ორგანო; ბ) ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი, სხვა საჯარო მოხელე; გ) ადმინისტრაციული ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე ოურიდიული პირი; დ) პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი; ე) ოფშირულ ზონაში რეგისტრირებული ოურიდიული პირი; ვ) ოურიდიული პირი, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშირულ ზონაში რეგისტრირებული პირი. |  <p>უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი</p> |
| 5 | ინფორმაცია ლიცენზიის მამიებლის/ავტორიზაციის მსურველის, ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ბენეფიციარი მსაკუთრების საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და მათ საკუთრებაში არსებული წილების თაობაზე. | <p>გიორგი ხაინდრავა, ა/ნ 01015001324; 70% გიორგი გაჩეილაძე, ა/ნ 01008016732; 30%</p> |



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15229190, 26/11/2015 12:57:30

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს მომხმარებელთა საყურადღებოდ

სამართლებრივი ფორმა: შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 401993820

რეგისტრაციის ნომერი,
თარიღი: 20/02/2014

მარეგისტრირებელი
ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში,
გიორგი ტერევერკოს ქ., N 11

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: gogaluka@yahoo.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01015001324, გიორგი ხაინდრავა

პარტნიორები

| მესაკუთრე | წილი | წილის მმართველი |
|-----------------------------------|--------------|-----------------|
| 01015001324, გიორგი ხაინდრავა | 70.00000000% | |
| 01008016732, გიორგი გაჩეჩილაძე | 30.00000000% | |

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

ყაღაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

- მოვალე: DE14121550 05/12/2014 11:56:51
გიორგი გაჩეჩილაძე 01008016732
საფუძველი: აღმასრულებელი: ნატო მაჭუტაძე სუბიექტის დამატება მოვალეთა რეესტრში 05.12.2014 # A14089632-005

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

რადიო „თანამგზავრი“-ს პროგრამა:

- 8.00 საინფორმაციო გამოშვება (წინა დღის)
- 8.05 დილის გადაცემის დასაწყისი (წამყვანის მისალმება და დილის გადაცემის შემადგენელი რუბრიკების ანონსირება)
- 8.15 სარეკლამო ჭრა
- 8.20 საბავშვო შემეცნებითი რუბრიკა „ იცოდო უფრო მეტი“ (გეოგრაფია, ისტორია, ხელოვნება, ლიტერატურა და მრ. სხ.)
- 8.30 სარეკლამო ჭრა
- 8.35 ვალუტის კურსი + ამინდის პროგნოზი
- 8.40 რუბრიკა „შედეგები“ (კლასიკური მუსიკის 5 წუთი, ინფორმაცია+ნაწარმოები)
- 8.45 სარეკლამო ჭრა
- 8.50 საბავშვო ვიქტორინა (გათამაშება)
- 9.00 საინფორმაციო გამოშვება (ახალი)
- 9.05 რუბრიკა „თუ საჭესთან ხარ“
- 9.10 რუბრიკა „გამომყევი ყველგან“ (ინფორმაცია საბავშვო კულტურული ღონისძიებების შესახებ: კინო, თეატრი, გამოფენა, კონცერტი, წიგნის ბაზრობა და ას. შმ.)
- 9.15 სარეკლამო ჭრა
- 9.20 რუბრიკა „გათენდა! წავედით“ (მოგზაურობა მთელს მსოფლიოში)
- 9.30 სარეკლამო ჭრა
- 9.35 ვალუტის კურსი + ამინდის პროგნოზი
- 9.40 რუბრიკა „შედეგები“ (ქართული მუსიკის 5 წუთი, ინფორმაცია + ნაწარმოები)
- 9.45 სარეკლამო ჭრა

- 9.50 რუბრიკა „გაასწორე შეცდომა“ (ქართული ენის კურსი)
- 10.00 რუბრიკა „რა გაწუხებს?“ (ექიმის მოკლე რჩევები)
- 10.05 რუბრიკა „თუ საჭესთან ხარ“
- 10.15 სარეკლამო ჭრა
- 10.20 რუბრიკა „კარი ღია“ (მრავალფეროვანი ინფორმაცია
სტუდენტებისათვის: გაცვლითი პროგრამები, სწავლების კურსები,
სტუდენტური ვაკანსიები და ა.შ.)
- 10.30 სარეკლამო ჭრა
- 10.35 ვალუტის კურსი + ამინდის პროგნოზი
- 10.40 რუბრიკა „შედეგები“ (ჯაზური მუსიკის 5 წუთი, ინფორმაცია +
ნაწარმოები)
- 10.45 სარეკლამო ჭრა
- 10.50 რუბრიკა „ სპორტი“
- 11.00 საინფორმაციო გამოშვება
- 11.05 რუბრიკა „თუ საჭესთან ხარ“
- 11.15 სარეკლამო ჭრა
- 11.20 რუბრიკა „განწყობა გადამღებია“ (ახალგაზრდებისათვის
ინფორმაცია ღამის ცხოვრების შესახებ)
- 11.30 სარეკლამო ჭრა
- 11.35 ვალუტის კურსი + ამინდის პროგნოზი
- 11.40 რუბრიკა „შედეგები“ (პოპ მუსიკის 5 წუთი, ინფორმაცია +
ნაწარმოები)
- 11.45 სარეკლამო ჭრა
- 11.50 სტუდენტური ვიქტორინა (გათამაშება)
- 12.00 რუბრიკა „შუადღე მშვიდობისა“ (ინფორმაცია სამომხმარებლო
ფასების შესახებ: ფასდაკლებები, აქციები, გათამაშებები და მრ.სხ.)
- 12.05 რუბრიკა „თუ საჭესთან ხარ“
- 12.15 სარეკლამო ჭრა

- 12.20 რუბრიკა „ჰოროსკოპი“
- 12.30 სარეკლამო ჭრა
- 12.35 ვალუტის კურსი + ამინდის პროგნოზი
- 12.40 რუბრიკა „შედეგები“ (რეტრო მუსიკის 5 წუთი, ინფორმაცია + ნაწარმოები)
- 12.45 სარეკლამო ჭრა
- 12.50 რუბრიკა „სუფთა სახლი“
- 13.00 საინფორმაციო გამოშვება
- 13.05 რუბრიკა „თუ საჭესთან ხარ“
- 13.15 სარეკლამო ჭრა
- 13.20 რუბრიკა „დავაგემოვნოთ ერთად“ (კულინარია)
- 13.30 სარეკლამო ჭრა
- 13.35 ვალუტის კურსი + ამინდის პროგნოზი
- 13.40 რუბრიკა „შედეგები“ (ხალხური მუსიკის 5 წუთი, ინფორმაცია + ნაწარმოები)
- 13.45 სარეკლამო ჭრა
- 13.50 რუბრიკა „ახალი ტენდენციები“ (ყველაფერი მოდის სამყაროს შესახებ: ჩაცმულობა, ინტერიერი, ყვავილები და მრ.სხ.)
- 14.00 რუბრიკა „შუადღე მშვიდობისა“ (ინფორმაცია სამომხმარებლო ფასების შესახებ: ფასდაკლებები, აქციები, გათამაშებები და მრ.სხ.)
- 14.05 რუბრიკა „თუ საჭესთან ხარ“
- 14.15 სარეკლამო ჭრა
- 14.20 რუბრიკა „დააბრუნე დრო“ (დიეტები, მასკები, კოსმეტოლოგია და მრ.სხ.)
- 14.30 სარეკლამო ჭრა
- 14.35 ვალუტის კურსი + ამინდის პროგნოზი
- 14.40 რუბრიკა „შედეგები“ (ბლიუზის მუსიკის 5 წუთი, ინფორმაცია + ნაწარმოები)

- 14.45 სარეკლამო ჭრა
- 14.50 რუბრიკა „აქციე მგზავრობა მოგზაურობად“ (ინფორმაცია ტურისტული სააგენტოების, სასტუმროების, ავიახაზების შესახებ)
- 15.00 საინფორმაციო გამოშვება
- 15.05 რუბრიკა „თუ საჭესთან ხარ“
- 15.15 სარეკლამო ჭრა
- 15.20 რუბრიკა „დააბრუნე დრო“ (დიეტები, მასკები, კოსმეტოლოგია და მრ.სხ.)
- 15.30 სარეკლამო ჭრა
- 15.35 ვალუტის კურსი + ამინდის პროგნოზი
- 15.40 რუბრიკა „შედეგები“ (საოპერო მუსიკის 5 წუთი, ინფორმაცია + ნაწარმოები)
- 15.45 სარეკლამო ჭრა
- 15.50 ვექტორინა დიასახლისებისათვის (გათამაშება)
- 16.00 რუბრიკა „ფარმაცია“ (ყველაფერი მედიკამენტების შესახებ)
- 16.05 რუბრიკა „თუ საჭესთან ხარ“
- 16.15 სარეკლამო ჭრა
- 16.20 რუბრიკა „ჰოროსკოპი“
- 16.30 სარეკლამო ჭრა
- 16.35 ვალუტის კურსი + ამინდის პროგნოზი
- 16.40 რუბრიკა „შედეგები“ (ლათინური მუსიკის 5 წუთი, ინფორმაცია + ნაწარმოები)
- 16.45 სარეკლამო ჭრა
- 16.50 რუბრიკა „კინომანია“ (ინფორმაცია კინოფილმების შესახებ + მუსიკა კინოფილმებიდან)
- 17.00 საინფორმაციო გამოშვება
- 17.05 რუბრიკა „თუ საჭესთან ხარ“

| | |
|-------|---|
| 17.15 | სარეკლამო ჭრა |
| 17.20 | რუბრიკა „პოლიტიკური მიმოხილვა“ |
| 17.30 | სარეკლამო ჭრა |
| 17.45 | სარეკლამო ჭრა |
| 17.50 | რუბრიკა „სპორტი“ |
| 18.00 | სადამოს ეთერი. რუბრიკა „სანამ სახლში დაბრუნდები“ |
| 18.05 | რუბრიკა „თუ საჭესთან ხარ“ |
| 18.15 | სარეკლამო ჭრა |
| 18.20 | რუბრიკა „დღის მოვლენები“ |
| 18.30 | სარეკლამო ჭრა |
| 18.35 | ვალუტის კურსი + ამინდის პროგნოზი |
| 18.40 | რუბრიკა „სუფთა სახლი“ |
| 18.45 | სარეკლამო ჭრა |
| 18.50 | რუბრიკა „შენი უბანი“ (სამომხმარებლო ინფორმაცია უბნების მიხედვით) |
| 19.00 | დღის ბოლო საინფორმაციო გამოშვება |
| 19.05 | რუბრიკა „თუ საჭესთან ხარ“ |
| 19.15 | სარეკლამო ჭრა |
| 19.20 | რუბრიკა „დღის მოვლენები“ |
| 19.30 | სარეკლამო ჭრა |
| 19.35 | ვალუტის კურსი + ამინდის პროგნოზი |
| 19.40 | რუბრიკა „ მოემზადე ხვალინდელი დღისათვის“ |
| 19.45 | სარეკლამო ჭრა |
| 19.50 | გათამაშება „ხელს გააყოლე“ |
| 20.00 | რუბრიკა „tv აფიშა“ |
| 20.05 | რუბრიკა „თუ საჭესთან ხარ“ |

| | |
|--------------|--|
| 20.15 | სარეკლამო ჭრა |
| 20.20 | რუბრიკა „დღის მოვლენები“ |
| 20.30 | სარეკლამო ჭრა |
| 20.35 | ვალუტის კურსი + ამინდის პროგნოზი |
| 20.40 | რუბრიკა „შედეგები“ (როკ მუსიკის 5 წუთი, ინფორმაცია + ნაწარმოები) |
| 20.45 | სარეკლამო ჭრა |
| 20.50 | რუბრიკა „დამის ქალაქი“ |
| 21.00 -23.00 | DJ და რუბრიკა „მისმინე მე“ (მუსიკალური თხოვნები პირდაპირ ეთერში) |
| 23.00-08.00 | თავისუფალი ეთერი |



განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია რადიო „თანამგზავრი“

ლიცენზიის მაძიებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც ასახავს მაუწყებლობის მოდელს, შეიცავს პრგამების დასახელებასა და მათ ანოტაციას.

ლიცენზიის სახე : რადიომაუწყებლობა;

ლიცენზიის სახეობა : კერძო მაუწყებლობა;

ლიცენზიის ქვესახეობა : საერთო მაუწყებლობა;

გეოგრაფიული ზონა : ქ. თბილისი ;

მაუწყებლობის ენა : ქართული ;

მაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა : 24 საათი.

ჩვენი მთავარი პრინციპია: **საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილება.**

ჩვენი მთავარი მიზანია, შევქმნათ ახალი ფორმატის საინფორმაციო სივრცე, რომელიც გათვლილია ნებისმიერი ასაკის მსმენელზე. ჩვენი სამაუწყებლო მოდელი შეიცავს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე მუსიკალური, პოლიტიკური და შემეცნებითი რუბრიკების ფართო სპექტრს. მსმენელის ინტერესების შესწავლის საფუძველზე გთავაზობთ სამაუწყებლო მოდელს, რომელიც შეესაბამება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პროგრამულ მოთხოვნებს;

1) დილის გადაცემა

პროგრამის მიზანია წამყვანის მიერ დილის გადაცემის შემადგენელი რუბრიკების მსმენელისთვის ანონსირება და კონკრეტულ დღეს მომხდარი ისტორიული მოვლენების გაცნობა, ასევე საერო და სასულიერო დღესასწაულების შესახებ ინფორმირება.

2) საბავშვო შემეცნებითი რუბრიკა „იცოდე უფრო მეტი“.

რუბრიკის მიზანია მოზარდების ინტელექტის ამაღლება. რუბრიკა არის შემეცნებითი და ემსახურება ბავშვებისთვის საჭირო ინფორმაციის გაგებას საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის, გეოგრაფიის, ასევე ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ.

3) რუბრიკა „შედეგები“

ამ რუბრიკის მიზანია, წამყვანმა მსმენელს მიაწოდოს ინფორმაცია კლასიკური, საოპერო, ხალხური და სხვა ჟანრის მუსიკის შედეგების შესახებ, აგრეთვე გააცნოს კომპოზიტორთა მოკლე ბიოგრაფია და ანონსი გაუკეთოს ცალკეული კომპოზიტორის შედეგს.

4) რუბრიკა „თუ საჭესთან ხარ“

რუბრიკა „თუ საჭესთან ხარ“ – ესაა საინფორმაციო რუბრიკა, რომელიც განკუთვნილია მსოფლიო საავტომობილო სფეროში მომხდარ სიახლეებს. რუბრიკა შეიცავს სასარგებლო ინფორმაციას ავტომობილების მოვლის შესახებ.

5) რუბრიკა „გამომყევი ყველგან“

ესაა საინფორმაციო რუბრიკა, რომელშიც წამყვანი წარმოადგენს მიმდინარე დღის საბავშვო, კულტურული ღონისძიებების შესახებ ანონსს, აგრეთვე – კინოს, თეატრის, გამოფენისა და კონცერტის შესახებ აფიშას.

6) რუბრიკა „გათენდა! წავედით“

ამ რუბრიკას შემეცნებითი სახე აქვს და მსმენელს საშუალებას აძლევს, გაიგოს უფრო მეტი მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებისა, მათი დაარსების ისტორიისა არქიტექტურული ნიმუშების შესახებ.

7) რუბრიკა „გაასწორე შეცდომა“

რუბრიკა „გაასწორე შეცდომა“ – ესაა შემეცნებითი რუბრიკა, რომლის მიზანია მსმენელისთვის ქართული ენის გრამატიკულად გამართული ფორმების ახსნა, ბარბარიზმებისა ჟარგონული სასაუბრო ლექსიკის დახვეწა სწორი გრამატიკული ფორმებით. მოცემული რუბრიკა ქართული ენის სასწავლო კურსს წარმოადგენს.

8) რუბრიკა „რა გაწუხებს ?“

ეს რუბრიკა შემეცნებითი რუბრიკაა. ამ რუბრიკაში გაჟღერებული იქნება ექიმების მოკლე რჩევები მსმენელისთვის, რომელიც ეხება სამედიცინო სფეროს, ჯანმრთელობასა და მასზე ზრუნვას.

9) რუბრიკა „კარი ღია“

ეს რუბრიკა საინფორმაციო ტიპისაა და ემსახურება სიახლეების მიწოდებას სტუდენტებისთვის, აბიტურიენტებისთვის, სკოლის მოსწავლეებისთვისა და ყველა იმ დაინტერესებული პირისთვის, რომელიც დაინტერესებულია სიახლეებით საგანმანათლებლო სფეროში, იქნება ეს გაცვლითი პროგრამები, ღია კარის დღეები უნივერსიტეტებში, სასწავლო კურსები, სტუდენტური ვაკანსიები თუ მრავალი სხვა.

10) რუბრიკა „განწყობა გადამდებია“

ეს რუბრიკა ემსახურება ახალგაზრდების ინტერესების დაკმაყოფილებას. რუბრიკის მეშვეობით ახალგაზრდები გაიგებენ ინფორმაციას ღამის ცხოვრების სიახლეების, დაგეგმილი კონცერტებისა და ღონისძიებების შესახებ.

11) რუბრიკა „შუადღე მშვიდობისა“

ამ რუბრიკის მეშვეობით წამყვანი მსმენელს გააცნობს სამომხარებლო ფასებს ნებისმიერი პროდუქტის შესახებ, აგრეთვე მსმენელი შეიტყობს სასარგებლო სიახლეებს ბაზარზე არსებული ფასდაკლებების, აქციებისა და გათამაშებების შესახებ.

12) რუბრიკა „დავაგემოვნოთ ერთად“

ეს არის საინფორმაციო-შემეცნებითი რუბრიკა კულინარიის შესახებ. ამ რუბრიკაში გაჟღერდება კულინარიული რეცეპტები, ინფორმაცია კერძის დამზადების ხერხებისა და მეთოდების და რაც მთავარია – სასარგებლო ინფორმაციას ჯანმრთელობის შესახებ.

13) რუბრიკა „ახალი ტენდენციები“

ეს რუბრიკა არის საინფორმაციო-შემეცნებითი და მოიცავს ყველაფერს მოდის სამყაროს, ინტერიერის დიზაინის და ყველა იმ მნიშვნელოვანი დეტალის შესახებ, რაც დიასახლისებს და არა მარტო მათ, ნებისმიერ მსმენელს დააინტერესებს.

14) რუბრიკა „დააბრუნე დრო“

რუბრიკა „დააბრუნე დრო“ არის საინფორმაციო-შემეცნებითი და განკუთვნილია ქალებისთვის. ახალი ამბები კოსმეტოლოგიებისგან, დიეტები, თავის მოვლის საშუალებები და მეთოდები – ეს ყველაფერი გაჟღერდება რუბრიკა „დააბრუნე დროში“.

15) რუბრიკა „აქციე მგზავრობა მოგზაურობად“

ეს რუბრიკა საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათისაა. ამ რუბრიკის მეშვეობით მსმენელი მოსიძენს ინფორმაციას მსოფლიოს ყველაზე ცნობილი კურორტების შესახებ, გაიგებს სასარგებლო ინფორმაციას ტურისტული სააგენტოების, სასტუმროებისა და ავიახაზების სიახლეების შესახებ.

16) რუბრიკა „ფარმაცია“

რუბრიკა „ფარმაცია“ არის საინფორმაციო ტიპის რუბრიკა და მსმენელს გააცნობს ყველა საჭირო ინფორმაციას მედიკამენტების, მათი დანიშნულებისა და მოხმარების წესების შესახებ, აგრეთვე გაჟღერდება სამომხმარებლო ფასები მედიკამენტებზე.

17) რუბრიკა „კინომანია“

რუბრიკა „კინომანიაში“ გაჟღერდება ინფორმაცია ახალი ფილმების, კინოფესტივალების შესახებ. ქართული და უცხოური კინოს ისტორია – ესაა ამ რუბრიკის შემადგენელი ნაწილი.

რუბრიკის ბოლოს გაჟღერდება მუსიკა იმ ფილმიდან, რომლის შექმნის ისტორიასაც გააცნობს წამყვანი მსმენელს.

18) რუბრიკა „სანამ სახლში დაბრუნდები“

ამ რუბრიკის მეშვეობით წამყვანი მსმენელს გააცნობს სამომხარებლო ფასებს ნებისმიერი პროდუქტის შესახებ, აგრეთვე მსმენელი შეიტყობს სასარგებლო სიახლეებს ბაზარზე არსებული ფასდაკლებების, აქციებისა და გათამაშებების შესახებ.

19) რუბრიკა „პოლიტიკური მიმოხილვა“

რუბრიკა „პოლიტიკური მიმოხილვა“ არის პოლიტიკურ-ანალიტიკური ტიპის რუბრიკა, სადაც წამყვანი სტუმრებთან ერთად მიმოხილავს დღის და კვირის მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებსა და მსოფლიოსა და საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს.

20) რუბრიკა „შენი უბანი“

ეს რუბრიკა არის შემეცნებითი და მსმენელი მოისმენს ინფორმაციას თბილისის უბნების დაარსების, თბილისის გამორჩეული ქუჩების ისტორიის შესახებ. ამ რუბრიკაში გაჟღერდება სამომხმარებლო ინფორმაცია უბნების მიხედვით.

21) რუბრიკა „დღის მოვლენები“

ეს რუბრიკა არის შემეცნებითი და მსმენელი მოისმენს ყველა იმ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის შესახებ, რაც კონკრეტულ დღეს საქართველოსა თუ მსოფლიოში მომხდარა.

22) რუბრიკა „სუფთა სახლი“

ამ რუბრიკაში გაჟღერდება ყველა სასარგებლო რჩევა დიასახლისებისთვის, იქნება ეს სახლის მოვლის საშუალებებისა თუ სხვა სასარგებლო ინფორმაციის შესახებ.

23) რუბრიკა „tv აფიშა“

ამ რუბრიკაში წამყვანი მსმენელს გააცნობს მიმდინარე და მომდევნო დღის სატელევიზიო აფიშას.

24) რუბრიკა „ლამის ქალაქი“

ამ რუბრიკაში წამყვანი მსმენელს გააცნობს ინფორმაციას თბილისის ლამის ცხოვრების შესახებ, კონცერტები, შოუები და ყველაფერი, რაც კონკრეტულ დღეს თბილისში ღამით მოხდება, დააანონსებს წამყვანი.

25) რუბრიკა „მისმინე მე“

რუბრიკა „მისმინე მე“ მოიცავს DJ_სა და მსმენელის აქტიურ კონტაქტს პირდაპირ ეთერში, მსმენელი sms თხოვნებითა და სატელეფონო ჩართვების მეშვეობით მოითხოვს სასურველ მუსიკალურ კომპოზიციას, რომელსაც შეძლებისდაგვარად გაშვებს წამყვანი პირდაპირ ეთერში.

26) გათამაშებები და ვიქტორინები

ამ რუბრიკების მეშვეობით პირდაპირ ეთერში ჩატარდება სხვადასხვა სახის ვიქტორინები როგორც ბავშვებისთვის, ასევე მოზრდილებისთვის. მათ პირდაპირ ეთერში შეეძლება, როგორც მონაწილეობა კონკრეტულ ვიქტორინაში, აგრეთვე მიკროავტობისდან ჩაუსვლელად სასურველი პრიზების მიღება. ჩვენი წარმომადგენელი კონკრეტული კომპანიის წარმომადგენელთან შეთანხმებით დახვდება მიკროავტობუსს სამარშრუტო გეგმის მიხედვით იმ ადგილას, სადაც ამ კომპანიის ფილიალი მდებარეობს და ადგილზე გაათამაშებს პრიზებს.

წამყვანები შერჩეულნი იქნებიან პროფესიონალიზმის მიხედვით. ყველა გადაცემის დრო განისაზღვრება საჭიროებისამებრ.

ჩვენი სამაუწყებლო კონცეფცია აგებულია მსმენელისთვის ფაქტების ობიექტურად გადაცემის პრინციპზე, ჩვენ მსმენელს მივაწვდით ინფორმაციას მომხდარი ფაქტებისა და მოვლენების შესახებ, იმის შესახებ, რაც ნამდვილია და აღიარებულია. ჩვენ ვეწინააღმდეგებით იმ პრინციპს, რომელიც ფაქტების გადაკეთებასა და მათ დამახინჯებას გულისხმობს.

დანართი

ჩვენსა და შ.პ.ს. „თბილისის მიკროავტობუსს“ შორის არსებობს მემორანდუმი და ხელშეკრულება იმის თაობაზე, რომ შ.პ.ს. „თბილისის მიკროავტობუსი“ უზრუნველყოფს თბილისის მიკროავტობუსებში მგზავრებისთვის ჩვენი რადიოსიხშირის მიწოდებას, ამიტომ, სამაუწყებლო ბადე ავაგეთ იმისდა მიხედვით, თუ რა ასაკისა და მოთხოვნილებების მქონე მსმენელი მგზავრობს კონკრეტულ დროსა თუ კონკრეტულ ადგილას. შ.პ.ს. „თბილისის მიკროავტობუსის“ 1800 ერთეული მიკროავტობუსი ემსახურება თბილისის მგზავრებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვყავს გარანტირებული აუდიტორია. სწორედ ამის საფუძველზეა აგებული ჩვენი სამაუწყებლო კონცეფცია. ჩვენი საქმიანობის არსი არ წარმოადგენს მსმენელთა მოზიდვას, ჩვენი მიზანია ყველასგან განსხვავებული და ახალი ტიპის საინფორმაციო-შემცენებელ სივრცის შექმნა, რაც გულისხმობს არსებული მსმენელისთვის საინტერესო და მრავლისმომცველი რუბრიკების შეთავაზებას, აგრეთვე საზოგადოებაში არსებულ სოციალური საკითხების წინა პლანზე წამოწევისა და ამ კუთხით მსმენელისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ამ მხრივ, ჩვენ გვაქვს სპეციალური რუბრიკები, როგორცაა სამომხმარებლო ფასების გაცნობა საკვებ და სასმელ პროდუქტზე, მედიკამენტების ფასების ზრდისა და კლების შესახებ ინფორმაციის გაცემა. თბილისის ჰიპერმარკეტებსა თუ სხვა დიდ მაღაზიებში არსებულ პროდუქციაზე ფასების შესახებ ინფორმაციას მსმენელი მოისმენს იმისდა მიხედვით, თუ რა მარშრუტით მგზავრობს იგი და რომელი ჰიპერმარკეტი მდებარეობს კონკრეტული მარშრუტზე.

ჩვენ შევისწავლეთ თუ რა დროს რა ასაკის მსმენელი მგზავრობს თბილისის მიკროავტობუსით, და ამის გათვალისწინებით დავყვავით სამაუწყებლო ბადე. დილის რუბრიკები განკუთვნილია სპეციალურად ბავშვებისთვის და ემსახურება მათ ინტელექტუალურ განვითარებასა და ზოგადი განათლების ამაღლებას. ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა, ქართული ენა, ისტორია, გეოგრაფია _ ეს ის დარგებია, რომლის შესახებ უამრავ საჭირო ინფორმაციას მივაწვდით ბავშვებს. შუადღის რუბრიკები განკუთვნილია ძირითადად სტუდენტებისა და აბიტურიენტებისთვის, რაც მოიცავს ინფორმაციას ღია კარის დღეების, გაცვლითი პროგრამების, სასწავლო კურსების შესახებ. ხოლო იმ დროს, როდესაც თბილისში პიკის საათებია და აუდიტორიაც მრავალფეროვანია, ჩვენს მსმენელს მივაწვდით მაქსიმალურად ამომწურავ და სასარგებლო ინფორმაციას სოციალური საკითხების შესახებ, როგორცაა სამომხმარებლო ფასები და სხვა, აგრეთვე პიკის საათებში მსმენელი მოისმენს დღის აქტუალური თემების მიმოხილვას.

ლიცენზიის მიღების შემთხვევაში პრაქტიკული საქმიანობის ვადა განისაზღვროს ლიცენზიის მიღებიდან ერთი კვირაში.

07.12.2015წ.

N0058/12-15

მოგახსენებთ, რომ შპს მომხმარებელთა საყურადღებოდ 2015 წლის 7 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია აქტივები 16340 ლარის ოდენობით, ხოლო ვალდებულებები 61290 ლარის ოდენობით.

შპს მომხმარებელთა საყურადღებოდ

დირექტორი გ. ხაინდრავა



მთ.ბუღალტერი ა. ლომიძე



| ინფორმაცია ლიცენზიის მადიუბელი იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის, აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ | | | | | | | | | | | | |
|---|--|--|---|---|---|----------------|--------------------|--|------------|------------|------------------|--|
| საწესდებო კაპიტალის წარმოშობის შესახებ | | | | აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ | | | | უსასყიდლოდ ან/და გრანტით მიღებული აქტივები | | | | |
| საწესდებო კაპიტალში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირების ჩამონათვალი | | საწესდებო კაპიტალში შენატანი (ლარებში) | საწესდებო კაპიტალში შენატანის წილი (%-ში) | საწესდებო კაპიტალში წილის შეტანის თარიღი | კომპანიის მიერ საკუთარი სახსრებით შექმნილი აქტივები | შექმნის თარიღი | შექმნის ღირებულება | პარტნიორის ან აქციონერის მიერ წილობრივი მონაწილეობის სახით შემოტანილი აქტივები | დასახელება | ღირებულება | გადაცემის თარიღი | |
| | | | | | კომპიუტერი | 08.05.2015 | 529 | | | | | |
| | | | | | კომპიუტერი | 08.05.2015 | 529 | | | | | |
| | | | | | კომპიუტერი | 08.05.2015 | 1200 | | | | | |
| | | | | | კომპიუტერი | 08.05.2015 | 1200 | | | | | |
| | | | | | კომპიუტერი | 08.05.2015 | 1200 | | | | | |
| | | | | | ტყვის სავარგელი | 08.05.2015 | 217 | | | | | |
| | | | | | ვრინტერი | 20.05.2015 | 380 | | | | | |
| | | | | | მაციფარი | 10.06.2015 | 540 | | | | | |
| | | | | | ტელევიზორი | 10.06.2015 | 570 | | | | | |
| | | | | | ჩაის მაგიდა | 18.06.2015 | 240 | | | | | |
| | | | | | სამეული | | | | | | | |
| | | | | | კუთხის | 20.06.2015 | 800 | | | | | |
| | | | | | wifi კლიენტ | 03.07.2015 | 238 | | | | | |
| | | | | | wifi კლიენტ | 03.07.2015 | 238 | | | | | |
| | | | | | fm სიმირის | | | | | | | |
| | | | | | გადამცემი | 24.07.2015 | 4250 | | | | | |
| | | | | | ანტენა | 24.07.2015 | 570 | | | | | |
| | | | | | ფილტრი | 24.07.2015 | 90 | | | | | |

ცნობა საწესდებო კაპიტალისა და მისი განადგეზული ნაწილის შესახებ

შ.პ.ს. „მომხმარებელთა საყურადღებოდ“ არ გააჩნია საწესდებო კაპიტალი და ხარჯვითი ნაწილი.



The image shows a handwritten signature in blue ink, followed by a blue circular stamp. The stamp contains the text "საქართველო" (Georgia) at the top, "შპს 'მომხმარებელთა საყურადღებოდ'" (LLC 'Attention for Users') in the middle, and "ATTENTION FOR USERS, LLC" at the bottom. The stamp also includes the identification number "401993820" and the Georgian letters "შპს" in the center.

ლიცენზიის მამიებელი ოურიდიული პირის მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია

ოურიდიული პირის დასახელება : შპს მომხმარებელთა საყურადღებოდ
 დეკლარაციის შევსების თარიღი: 02.12.2015

რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: B14016739, 20.02.2014
 საიდენტიფიკაციო მონაცემები: 401993820

მისამართი და ტელეფონი:საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში,
 გიორგი ტერევერკის ქ, N 11, 577 50-11-04

| მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა მონაცემები | | | |
|---|--|--|----------------------------|
| მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა ჩამონათვალი | რეგისტრაციის ნომერი და თარიღი (ოურიდიულ პირთათვის) | დაბადების ადგილი და თარიღი (ფიზიკურ პირთათვის) | საიდენტიფიკაციო მონაცემები |
| გიორგი ხაინდრავა | | 07.07.1955 / თბილისი | 01015001324 |
| გიორგი გაჩეჩილაძე | | 27.03.1989 / თბილისი | 01008016732 |
| | | | |

| მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება | | | |
|--|----------------------|---|--|
| ქონების მესაკუთრის ვინაობა | ქონების სახეობა | ქონების ადგილმდებარეობა, საერთო ფართობი | თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ თანამესაკუთრები |
| გიორგი ხაინდრაავა | არასასოფლო სამეურნეო | თბილისი, ზერძენის 39, მ 4 | |
| გიორგი ხაინდრაავა | არასასოფლო სამეურნეო | თბილისი, ტერევენკოს 11-ის მიმდებარედ | |

მნიშვნელოვანი წილის მფლობელ კარტნიორთა/აქციონერთა საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება (ფასიანი ქაღალდების, საბანკო ანგარიშების ან/და შენატანის, ნაღდი ფულადი თანხის გარდა), რომელთაგან თითოეულის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს

| ქონების მესაკუთრის ვინაობა | ქონების სახეობა | ქონების დეტალები |
|----------------------------|-----------------|------------------|
| | | |

მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები

| მესაკუთრის ვინაობა | ფასიანი ქაღალდის ემისიის თარიღი | ფასიანი ქაღალდის სახეობა | ფასიანი ქაღალდის იდენტიფიკაციის ნომერი | ფასიანი ქაღალდების რაოდენობა |
|--------------------|---------------------------------|--------------------------|--|------------------------------|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა რომლის ოდენობა აღემატება 4 000 ლარს

| | |
|----------------------------------|--|
| ფულადი თანხის მესაკუთრის ვინაობა | ფულადი თანხის ოდენობა შესამის ვალუტაში |
| | |
| | |
| | |

მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა მონაწილეობა საქართველოში ან სხვა ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობაში

| | | | | | |
|--|--|---|--|---|---|
| <p>სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილის პირის ვინაობა</p> | <p>საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი</p> | <p>საწარმოს საქმიანობაში მონაწილეობის ფორმა</p> | <p>საწარმოს მარეგისტრირებული ორგანო და რეგისტრაციის თარიღი</p> | <p>სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის დროის მონაკვეთი</p> | <p>საწარმო საქმიანობით წინა წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი</p> |
| <p>გიორგი ხაინდრავა</p> | <p>შპს მიწათმოქმედთა ერთობა, თბილისი, ტერევექვას 11</p> | <p>პარტნიორი</p> | <p>ოქსტიდივის სახლი</p> | <p>2013-მიმდინარე</p> | <p>0</p> |

მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა მიერ საქართველოში ან სხვა ქვეყანაში შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეცნიერო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა

| სამუშაოს შესრულებელი პირის ვინაობა | სამსახური, რომელშიც პირს უკავია თანამდებობა ან ასრულებს სამუშაოს | თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი | სამუშაოს შესრულებით წინა წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი |
|------------------------------------|--|--|--|
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

დაფინანსების გეგმა

დაფინანსების ძირითადი წყარო:

რეკლამა, ფასიანი ზარი და აგრეთვე სარეკლამო ხასიათის რუბლიკა.

2014 წლის მაისი-სექტემბრის პერიოდში ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი წარმატებით ფუნქციონირებდა შპს „რადიო უცნობ“ -ში , რომლის დროსაც შემოსავალმა დღგ-ს ჩათვლით შეადგინა 117700,00 ლარი.

პროექტის წარმატებამ ცხადყო, რომ მისი დამოუკიდებლად განვითარება უფრო დიდ შემოსავლებთან არის დაკავშირებული.

საწყის ეტაპზე რადიოს გამართულ მუშაობაში ფინანსურად მხარს უჭერს შპს „თბილისის მიკროავტობუსი“.



მემორანდუმი განზრახულობათა შესახებ

წინამდებარე მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) გაფორმდა ქალაქ თბილისში 2014 წლის 25 მარტს შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, შპს „თბილისის მიკროავტობუსი“ (ს/კ 404889091), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ასანიძის სახით,

მეორე მხრივ, შპს „მომხმარებელთა საყურადღებოდ“ (ს/კ 401993820) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ხაინდრავას სახით,

პრეამბულა

ვინაიდან შპს „თბილისის მიკროავტობუსი“ წარმოადგენს ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მფლობელი კომპანიების მმართველ კომპანიას,

ვინაიდან ნებართვის მფლობელ კომპანიებს - შპს „თბილ ლაინ“-ს, შპს „თბილ ქარ“-ს, შპს „ფაბლიქ ქარ“-ს და შპს „კაპიტალ გრუპ“-ს - საკუთრებაში ჯამურად ჰყავთ 2000 (ორი ათასი) ერთეული მექანიკური ავტოსატრანსპორტო საშუალება,

ვინაიდან შპს „მომხმარებელთა საყურადღებოდ“ განზრახული აქვს შექმნას დამოუკიდებელი FM სიხშირის რადიო მაუწყებლობა,


მხარეები ვაფორმებთ წინამდებარე მემორანდუმს მასზედ, რომ მხარეები ერთობლივად განაზორციელებენ დამოუკიდებელი ახალი რადიოს ჩამოყალიბების სამუშაოებს, რომელიც ორიენტირებული იქნება ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი მიკროავტობუსების მგზავრებზე და არამხოლოდ მათზე.

ამ მემორანდუმის მიზნებისათვის მხარეები ერთობლივად თუ ცალ-ცალკე გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებებს.

წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა თითოეულ მხარეს.

შპს „თბილისის მიკროავტობუსი“
დირექტორი დავით ასანიძე

შპს „მომხმარებელთა საყურადღებოდ“
დირექტორი გიორგი ხაინდრავა



მომსახურების ხელშეკრულება N:MS-1201

ქ. თბილისი

01.12.2015 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

- 1.1. შპს “მომხმარებელთა საყურადღებოდ” (იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი გ.ტერევერკოს ქუჩა № 11 ს/კ 401993820) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ხაინდრავას სახით „შემდგომში“ დამკვეთი” და
 - 1.2. შპს “თბილ ლაინი” (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 3, ს/კ 404392260) წარმოდგენილი მისი დირექტორის ედუარდ აფრასიძის სახით, შემდგომში “შემსრულებელი”
- შემდეგში ხელშეკრულების ტექსტში ერთად წოდებული როგორც “მხარეები”.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის მომსახურების გაწევა შემსრულებლის სარგებლობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალებებში არსებული რადიომოწყობილობით (შემდგომში „მოწყობილობა“), ხოლო დამკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს მიღებული მომსახურება იმ პირობებისა და ვადების შესაბამისად, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

3. მხარეთა გარანტიები

- 3.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მის სარგებლობაში მყოფ ავტოსატრანსპორტო საშუალებებში (880 ერთეული M2 კატეგორიის ავტობუსი) არსებული მოწყობილობით მომსახურებას გაუწევს ექსკლუზიურად მხოლოდ დამკვეთს;
- 3.2. დამკვეთი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულების ვადის განმავლობაში შემსრულებლის სარგებლობაში მყოფ ავტოსატრანსპორტო საშუალებებში მოთხოვნა ექნება მინიმუმ ერთი მესამედი ერთეული მოწყობილობის მომსახურებაზე.
- 3.3. დამკვეთი უფლებამოსილია ხელშეკრულების ვადის განმავლობაში სრულად გამოიყენოს შემსრულებლის სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები – მათში არსებული რადიო მოწყობილობებით.
- 3.4. დამკვეთი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე შპს „თბილ ლაინს“ გაუკეთებს წერილობით შეთავაზებას მათ შორის დადებული ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ექსკლუზიურია და დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე სხვა რომელიმე კომპანიასთან ამავე შინაარსის მქონე ხელშეკრულების გაფორმებას ვერ განახორციელებს.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

- 4.1. დამკვეთი იღებს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან განახორციელოს შემსრულებლის სარგებლობაში არსებული მოწყობილობების ტექნიკური შემოწმება და რეკონსტრუქცია, რათა მოიყვანოს ეს მოწყობილობები ვარგის მდგომარეობაში ხელშეკრულების მიზნების განსახორციელებლად.
- 4.2. დამკვეთი იღებს ვალდებულებას, რომ რადიო სიხშირის მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს მისი მონტაჟი და გაშვება ავტოსატრანსპორტო საშუალებებში არსებული რადიომოწყობილობების საშუალებით.
- 4.3. შემსრულებელი ვალდებულია შეინარჩუნოს მოწყობილობა ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში, რაც მოიცავს შემსრულებლის ვალდებულებას განახორციელოს მუდმივი ტექნიკური კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში აღმოფხვრას დაზიანება;
- 4.4. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, დამკვეთის მიერ მომსახურების მთლიანი ან ნაწილობრივი შეჩერების ან შეფერხებით მიწოდების თაობაზე შეტყობინების მიწოდებიდან მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე, აღმოფხვრას დაზიანება.
- 4.5. შემსრულებელი უფლებამოსილია დამკვეთის მიერ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში გადახდის ვადის დარღვევიდან 4 თვის გასვლის შემდგომ ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი მომსახურების მიწოდება.
- 4.6. დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევა სრულად და ჯეროვნად;
- 4.7. დამკვეთი უფლებამოსილია განახორციელოს საკონტროლო შემოწმება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 4.8. დამკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს მომსახურების ყოველთვიური ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

5. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდის წესი

- 5.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ფინანსური ნაწილი განიხილება ცალკე, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას დანართის სახით და იქნება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.
- 5.2. მომსახურების ყოველთვიური ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს სრულად, საანგარიშო თვის დაწყებიდან მომდევნო თვის 5 რიცხვამდე. მხარეები თანხმდებიან, რომ მომსახურების ღირებულების გადახდა უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლში მითითებულ შემსრულებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

- 6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის, მას შემდეგ, რაც დამკვეთი მიიღებს რადიომაუწყებლობის სიხშირეს FM დიაპაზონზე და მხარეთა შორის გაფორმდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული

მოწყობილობის თაობაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი და იმოქმედებს 1 წლის ვადით.

- 6.2. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 1 (ერთი) თვით ადრე მხარეები არ გამოთქვამენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულება გაგრძელდება ავტომატურად იმავე ვადით.
- 6.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:
 - მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით;
 - მხარეთა მიერ ცალმხრივად, მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, შეწყვეტამდე წინასწარ სამი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;
- 6.4. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა არ ნიშნავს არსებული დავალიანების გადახდის ვალდებულების შეწყვეტას. შესაბამისად, დამკვეთი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია შემსრულებელს გადაუხადოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დაგროვებული დავალიანება.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 7.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამრღვევი მხარე პასუხს აგებს წინამდებარე ხელშეკრულების და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 7.2. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი დაარღვევს მომსახურების ღირებულების გადახდის პირობას და ვადას, შემსრულებელი უფლებამოსილია გააფრთხილოს დამკვეთი და პირგასამტეხლოს სახით დააკისროს დამკვეთს ჯარიმა გადასახდელი თანხის 0,07 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დაკისრება შესაძლებელია გაგრძელდეს მაქსიმუმ 4 (ოთხი) თვის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ შემსრულებელს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8. ფორს-მაჟორი

